№ 237 ნოემბერი 7, ოთხშაბათი 1890 ნოემბერი 7, ოთხშაბათი № 237

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . . | 10 | — | 6 . . . . . | 6 | — |
| 11 . . . . | 9 | 50 | 5 . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . . | 8 | 75 | 4 . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . . | 8 | — | 3 . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . . | 7 | 25 | 2 . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . . | 6 | 50 | 1 . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და ჯერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## წლიური საზოგადო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, თანხმად საზოგადოების წესდების მე-11 §სა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 14, დილის 12 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1889 წლისა 1-ლ სექტემბრამდე 1890 წლისა;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვაზე 1889/90 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა (9—2)

## „დასავლეთი"

ახალი რესტორანი, ვერაზე, მებურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური

(40—6)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1890 წლის 11 ნოემბერს ტფილისის «სობრანიის» დარბაზში, დილის 9 საათზედ, დაიწყება არჩევანი მეორის ხარისხის ხმოსნებისა მომავალ 1891—1894 წლისათვის. (3—1)

## ახალი ამბავი

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა პრინცი ლიუდოვიკ ნაპოლეონი გუშინ-წინ შამქორს გაემგზავრა სანადიროდ და დღეს ისევ უკან დაბრუნდება.

*** გუშინ-წინ, ამ თვის 5-ს, ტფილისში ჩამოიყვანეს რკინის გზით სამტრედიიდგან შიშილაძე, რომელიც საქონლის მატარებლიდგან ჩამოვარდა და ვაგონებს ქვეშ ჩავარდა. თვლებმა მარჯვენა ფეხი მოამტვრია. რკინის-გზის სამკურნალოში მეორე დღესვე შიშილაძეს დაშავებული ფეხი მოსჭრეს მკურნალებმა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობა აპირებს შეადგინოს საპენსიო წესდება და ჯერ საბჭოს წარუდგინოს განსახილველად და მერე მთავრობას დასამტკიცებლად.

*** ჩვენის რკინის გზის ტელეგრაფის კანტორამ ამ დღეებში შეადგინა სია იმ ტელეგრაფისტებისა, რომელთაც უნდა დაენიშნოს საჩუქარი. ეს საჩუქარი სახელმწიფო რკინის გზების დროებითმა მმართველობამ დაუნიშნა ტელეგრაფისტებს. სულ 400-ზე მეტი ტელეგრაფისტი მსახურობს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე და საჩუქრად ას-ორმოც-და-ათი თუმანია დანიშნული. ზემოხსენებული სია რკინის გზის ტელეგრაფის უფროსმა უკვე პეტერბურგს გაჰგზავნა დასამტკიცებლად.

*** ქურდ-ბაცაცები მაინც არა შორდებიან რკინის გზის სადგურს. კვირას, ამ თვის 4, ტფილისის სადგურზე პირველის ზარის დარეკის შემდეგ მესამე კლასის დარბაზში ერთს სომეხს მგზავრს მოაჭრეს საკვოიაჟი, რომელშიაც თორმეტი თუმანი ფული ჰქონდა. ქურდი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. ამის გამო სომეხს ბაქოში წასვლაც ვერ მოუხდა, თუმცა ბილეთი-კი ნაყიდი ჰქონდა.

*** „ქართველთა წიგნების ბეჭდვის ამხანაგობას" დაუნიშნავს ორი პრემია ისტორიულის მოთხრობის დაწერისათვის. პირველი პრემია ოცი თუმანია, ხოლო მეორე—ათი თუმანი. პირველს პრემიაზე დაწერილი მოთხრობა ათ საბეჭდავ ქაღალდის თაბახზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო მეორეზე დაწერილი—ხუთს თაბახზე ნაკლები. ვადად მოთხრობის წარდგენისათვის დანიშნულია 1 ნოემბერი 1891 წლისა.

*** „ქართველთა წიგნების ბეჭდვის ამხანაგობას" ამ ჟამად უკვე 50 კაცი ჰყავს წევრად. ამხანაგობის წევრთა რიცხვი, როგორც ამბობენ, დღითი-დღე მატულობს.

*** გორის მომრიგებელი მოსამართლე ბ-ნი ბუტენკო, როგორც შეუტყვია „Тиф. Лис."-ს, დაუნიშნავთ ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად.

*** მოგვყავს გაზ. „მწყემსიდამ" რამდენიმე ცნობა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრების შესახებ ქუთაისში: წარსულის თთვის 29, 30 და 31 იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება იყო დანიშნული. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია დეკან. გაბრიელ ცაგარეიშვილი და საქმის მწარმოებლად მაჭარიშვილი. 30 ოქტომბერს მობრძანდა ყოვლად სამღვდელო-ეპისკოპოზი გაბრიელი და მასაფერი დარიგება მისცა კრებას მათის მოვალეობისა და ოთხ-კლასიანის სასულიერო სასწავლებლის შესახებ. კრებას ბევრი საგანი ჰქონდა გადასაწყვეტი. როგორც მოგეხსენებათ, ამავე კრებამ შარშან გადასწყვიტა მღვდელ-მთავრის გაბრიელის სახელობაზედ დაეარსებინა [illegible] მანეთი გადადეს ამ საქმისათვის და კამიტეტიც დაინიშნა საქმის საწარმოებლად. კამიტეტმა შეიმუშავა მინდობილი საქმე და მოახსენა კრებას, თუ როგორი სასწავლებელი უნდა დაარსებულიყო და რა ხარჯი მოუნდებოდა. კამიტეტის მოხსენებას შემდეგ წაკითხულ იქმნა მოწერილობა ტფილისის სემინარიის მმართველობისაგან, რომ მაგ ათი ათას მანეთს ფულს ნუ შეეხებით, რადგან ეგ ფული ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლის შესაკეთებლად გვჭირდებაო.

## ფელეტონი

### ნ ა ნ ტ ა*)

(მოთხრობა ემილ ზოლასი)

### I

ის ოთახი, რომელშიაც ნანტა სცხოვრობდა მას შემდეგ, რაც მარსელიდგან დაბრუნდა, იმყოფებოდა დიდის შენობის მეხუთე სართულში, ლილის ქუჩაზედ, ბარონ დანვილიეს, სახელმწიფო საბჭოს წევრის სასახლეს გვერდით. ფანჯარაზედ რომ გადმოყუდებულიყო, ნანტას შეეძლო დაენახა ერთი ნაწილი იმ ბაღისა, რომელიც სასახლეს ერტყა და რომლის მაღლა ამართულსა და გაფოთლილს ხეებს დიდი ჩრდილი დაეყენებინათ. ამას იქიდგან იყო ის პარიჟი თავისის ლამაზად მიხვეულ-მოხვეულის სენათი, რომლის ნაპირად მოჩანდა ტიულიერი, ლუვრი, რიყე და მთელი ზღვა სახლის ბანებისა, პერ-ლაშეზის სასაფლაომდე გაჭიმული.

ნანტას სადგომი პაწია, ვიწრო ოთახი იყო, რომელშიაც მხოლოდ საწოლი, ერთი სტოლი და ერთიც სკამი ეტეოდა. ნანტამ ეს ავეჯეულობა ძალიან იაფად იყიდა და გადასწყვიტა, რომ აქ დავრჩები იმ დრომდე, ვიდრე საქმეს, სამუშაოს ვიშოვიდე რასმეო. ჭუჭყიანი კედლები, შავი ჭერი, სიღარიბე და უბუხრობა მწუხარე ფერს არა სდებდა ამ ოთახს. მას შემდეგ, რაც ნანტას ამ ქოხში ეძინა, ტიულიერსა და ლუვრს პირდაპირ, იგი თავისს თავს იმ მთავარ-სარდალს ადარებდა, რომელიც ღამეს ღარიბ ქოხმოხში ატარებს, უშველებელს ქალაქს ახლოს, და იმ ქალაქის იერიშით აღება აქვს განზრახულიო.

ნანტას ისტორია ძალიან მოკლეა. იგი მარსელელ ღარიბ ქვის მფენელის შვილი იყო და პატივმოყვარე დედის თხოვნით, ამ ქალაქის უმაღლესს სასწავლებელში შევიდა, იმ დედის თხოვნით, რომელსაც უნდოდა თავისი ერთად-ერთი შვილი ბატონად გაეხადნა. დედა ჩქარა გარდაიცვალა და ნანტა იძულებული შეიქმნა ნოქრად დამდგარიყო ერთ ვაჭართან, სადაც თორმეტის წლის განმავლობაში მწუხარე ცხოვრებას ატარებდა. ჩქარა დააღწევდა თავს ამ თანამდებობას, მაგრამ შვილის მოვალეობა ნებას არ აძლევდა და იძულებულს ჰყოფდა მარსელში ყოფნას, მოხუცებულ მამის გვერდით. ერთს საღამოს, როცა ნანტა სახლში დაბრუნდა, ჰნახა, რომ ქვისმფენელი გარდაცვლილიყო და გაყინულს ხელში ჩიბუხი ისევე ეჭირა. სამს დღეში ნანტამ მიჰყიდ-მოჰყიდა ყველაფერი, რაც-კი მამის სახლში მოიპოვებოდა, ათი თუმანი შეიკრიბა და პარიჟში ამოჰყო თავი.

ნანტა პატივის-მოყვარე იყო, გამბედავი და ისეთი მტკიცე ხასიათი ჰქონდა, რომ არაფრის წინ არ დაიხევდა უკან. ჯერ ისევე პაწია ბიჭი იყო, რომ დასცინოდნენ, როცა მერმისის იმედებს გამოსთქვამდა და მეათასედ გაიმეორებდა ხოლმე თავისს ჩვეულებრივს სიტყვას—„მე ძალა ვარო". ეს სიტყვები მით უფრო სასაცილო იყო, რომ ამას ამბობდა გამხდარი, კუშტი პატარა ბიჭი, რომელსაც დაგლეჯილი და გრძელ, მეტად გრძელ-სახელოებიანი სერთუკი ეცვა. ცოტ-ცოტა ძალა შეიქმნა მისი სარწმუნოება, ძალას მეტს ველარასა ჰხედავდა და იმ აზრისა იყო, რომ ძალა ყოველთვისა ჰხნავს აღმართს, გამარჯვებით დღეს იქნება თუ ხვალ ისევ ძალოვანნი, ძლიერნი გაიმარჯვებენო. იმისის სიტყვით, საკმარისია ადამიანი გულით იყოს რასმე მოწადინებული, დანარჩენი-კი არაფერი ბედენაა.

კვირა დღეობით, როცა ქალაქის ახლო-მახლო დასეირნობდა, იგი ჰგრძნობდა, რომ ძალა ვარ, გენიოსი, და ეს ძალა მკრავს ხელს, რომ უკუ-დაუხევლად წინ წავიდეო. ბრუნდებოდა სახლში, დაჯდებოდა ხოლმე მოხუც მამასთან და იმის ოცნებაში იყო, რომ ბრწყინვალე მერმისი მომელის იქ, იმ საზოგადოებაში, სადაც ჯერ არა ვყოფილვარ, თუმცა აგერ ოც-და-ათი წელიწადი მისრულდებაო.

ასეთი ოცნებობა ყმაწვილის კაცისა არც შურს ამტკიცებდა და არც სიამოვნების მორევში ჩაყურყუმელავების სურვილს; ამით მხოლოდ ისა სჩანდა, რომ ნანტა თავის ჭკუასა და ხასიათის სიმტკიცესა ჰგრძნობდა და უნდოდა დიდებული შექმნილიყო, თავისი კუთვნილი ადგილი დაეჭირა.

შემოდგა თუ არა ფეხი პარიჟის ქვაფენილზედ, ასე ეგონა, საკმარისია ხელი გავაწვდინო და ჩემს შესაფერს საქმეს იმდენს ვიშოვნი, რამდენიც გუ-

*) ეს მოთხრობა ზოლას პირველ ნაწარმოებთაგანია. ამ ჩვენის დროის შესანიშნავმა მწერალმა ეს მოთხრობა შემდეგ დიდ რომანად გადააკეთა და დაარქვა: „ძაღლებისათვის მიგდებული ლუკმა". როგორც აქაც, ე. ზოლას ბევრს თავის ნაწარმოებში გამოჰყავს მხნე, მტკიცე ხასიათის კაცი, რომელიც თავისის საკუთარის ძალ-ღონით მთელის ქვეყნის დამორჩილებასა სცდილობს. სულიერი მდგომარეობა ასეთის გმირისა ალბად კარგად ეცნობა ავტორს, თითონაც თითქმის ასეთივე გზა და ვარამი გამოიარა, როცა პირველად მივიდა პარიჟში და ბედს ეძებდა, არც ნაცნობი ჰყავდა, არც ნათესავი. ზოლაც, თავის გმირებსავით, ჰგრძნობდა, რომ ნიჭიერი ვარო და ჩემი შრომა კვალ-დაუმჩნეველი არ დარჩება სალიტერატურო ასპარეზზე, საკმარისია ხმა ამოვიღო და გაოცებული ქვეყანა წინასწარმეტყველად შემრაცხავსო. ასე ოცნებობდა ყმაწვილი კაცი, მაგრამ ეს იმედი მხოლოდ კარგა ხანს შემდეგ განუხორციელდა და ისიც არა ისე სავსედ, როგორც თითონ ეგონა.

პარიჟში მისვლისათანავე დარწმუნდა, რომ ჟურნალ-გაზეთობას დიდი და სქელი კედელი არტყია თანამშრომლებისა და უცნობი ყმაწვილი კაცი ძნელად გაატანს ამ კედელსაო. ხან ერთს რედაქციას მიადგა და მიუტანა თავისი წვრილი მოთხრობები, ხან მეორეს, მაგრამ ყველგან რომ უარი უთხრეს, გადასწყვიტა, იმათის გემოვნებისა უნდა დავწერო რამ და უარს აღარ მეტყვიანო. იმ დროს საზოგადოებას უკვე წაკითხული ჰქონდა ბალზაკისა და ფლობერის რომანები, ამ რეალიზმის პირველ მოციქულებისა, მაგრამ ლიტერატურაში მაინც კიდევ რომანტიზმი ჰმეფობდა და და ამას უჭერდა მხარს მოხუცი ვიქტორ ჰიუგოც. აგერ ზოლამ დასწერა რომანტიული ნაწარმოები, რომელიც ერთის წლის შემდეგ დაიბეჭდა. ამ რომანს ერქვა „მარსელის საიდუმლონი" და სავსე იყო ათას გვარად გადახლართულ და გადახვანჯულ შემთხვევებით. რომანმა მაგდენად ძლიერად არ იმოქმედა საზოგადოებაზედ, მაგრამ ამიერიდგან-კი მწერალთა შორის ზოლას სახელიც იხსენებოდა და იმასაც ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ამ გარემოებით ისარგებლა ყმაწვილმა კაცმა და ყოველ წლივ ჰბეჭდავდა ახალ-ახალს რომანს, რეალიზმის მიმართულებისას. ზოგიერთმა მისმა ნაწარმოებმა, მაგალითებრ „ტერეზა რაკენმა", დიდი სახელი გაუთქვა ახალგაზდა მწერალსა და ეს სახელი ხომ უფრო განუმტკიცდა, როცა „რუგონ-მაკარების" წერას მიჰყო ხელი და ამ რომანების პირველი წიგნი დაჰბეჭდა.

მას შემდეგ ყოველი ახალი რომანი ზოლასი ლიტერატურაში მთელს ალიაქოთს ასტეხს ხოლმე. მე-70 წლებში ზოლა ესრედ წოდებულ „ნატურალიზმის" მეთაურად ითვლებოდა და ბევრი თანაუგრძნობდა საფრანგეთში. მას უკან მისი თეორია შეცდომად იცნეს და მოწინაამდეგე ბევრი გამოუჩნდა, თუმცა-კი ამ გარემოებას იმის ნაწერებისთვის მკითხველი არ მოუკლია. მართალია, თუ სცდება ზოლა, არას ვიტყვით, ის-კი აშკარაა, რომ იმისი ნიჭი ღრმა კვალს გაავლებს ლიტერატურის ისტორიას. თავისის თხზულებით ზოლამ დიდი ქონება შეიძინა, პარიჟის მიდამოებში, მედანს, საუცხოვო სახლი იყიდა და ეხლა იქ სცხოვრობს მშვიდად, არხეინად, სიღარიბეს აცილებული, გაჭირებას მოკლებული.

მთარგმნელი

კრებამ ამითი გული არ გაიტეხა და გადასწყვიტა საკუთარის ჯიბიდგან გადაედო 45,400 მან. ამასთანავე კამიტეტს მიანდო სწავლის პროგრამმის შემუშავება და სასწავლებლისათვის სახლის მოწყობა. კრებაზე დიდი ბაასი გამოიწვია ბ. ტატიშვილისაგან შედგენილმა ოთხ-კლასიანის სასწავლებლის წარსულის წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშმა. ანგარიში ერთობ დიდი და ვრცელი იყო. ამ ანგარიშში კრებამ ისეთი უსარგებლო ხარჯი აღმოაჩინა, რომელიც მისგან განხილულ და დამტკიცებულ ხარჯთა აღრიცხვაში არ იყო მოხსენებული.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ნოემბრის თვის პირველს რიცხვებში გაემგზავრება შორაპნის საბლაღოჩინოში ახალ ეკკლესიების საკურთხებლადა და ძველების დასათვალიერებლადაო.

*** 5 ნოემბერს, პოლიციის მეცხრე ნაწილში სპარსეთის ქვეშევრდომმა სარხაკლ ასლანოვმა, რომელიც კრამიტის ქუჩაზე დგას, გამოაცხადა, რომ ლაზარეს შვილმა ისაკამ, ჩემს შინ არ ყოფნის დროს, მომპარა ახალუხი და ფულად 50 მანათიო. დამნაშავეს ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს.

*** ამავე თვისავე აზანის ალთაყათის ხარიბთან ალიხან გეიდარის სახლში ბუხრიდგან ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა სახლის კოშკი; ცეცხლი შინაურულად ჩააქრეს.

◆◆

## ქალაქის საბჭო

5 ნოემბერს

წაკითხულ იქმნა ოქმი წარსულ სხდომისა. რამდენიმე ხმოსანი წამოდგა და უსიამოვნება გამოაცხადა, რომ მათი ნალაპარაკევი სწორედ არ არის ჩაწერილი ოქმში. ამაზედ ქალაქის თავმა შენიშნა, რომ ვისაცა სურს, შეუძლიან კერძო განცხადება შემოიტანოს საბჭოში და უნაკლულოდ აღადგინოს თავისი ნათქვამი სიტყვაო. ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ხმოსნები, უოგგლთვის მაგას გვეუბნებით, რომ კერძო განცხადების შემოტანა შეგიძლიანთო. სადაური იქნებოდა, რომ მუდამ ასეთის განცხადებით ვიაროთ საბჭოშიო.

ხმ. ნიკოლაძე. ეს უსიამოვნება ხმოსნებისა გაუთავებელი შეიქმნა მას შემდეგ, რაც იზმაილოვის ადგილი დაიჭირა დღევანდელმა მდივანმა საბჭოსამ, რომელსაც არც ერთხელ არ ჩაუწერია ბევრთა ხმოსანთა ნალაპარაკევი და მათ შორის ჩემიც უტუყუარად.

მდივანი ტიგრანოვი. ნიკოლაძეს არც ერთხელ არ გამოუცხადებია თავისი უკმაყოფილება ამის შესახებ. ტყუილს ამბობს ნიკოლაძე, ვითომც მე დამემახინჯებინოს მისი ნალაპარაკევი.

ნიკოლაძე. მე ჩემი სამდურავი ისე გამოვაცხადე, რომ არავითარი შეურაცხყოფა არ იხატება ჩემს სიტყვებში, და ნუთუ ბ-ნი თავმჯდომარე ყურადღებოდ დასტოვებს იმ სიტყვა-პასუხს, რომლითაც მომმართა მე მდივანმა!.. მაგრამ თვით ეგ სიტყვა-პასუხი უკეთესი საბუთია მდივანის აუ-გარგიანობისა...

ამას შემდეგ ჩამოვარდა უსიამოვნო ჩოჩქოლი.

უმთავრესი საგანი კრებისა იყო მსჯელობა, თუ როგორ უნდა დააჯილდოვოს საბჭომ თბილისის წლის უსხგარო და თავდადებული სამსახური გამგეობის წევრისა ნ. ა. პაპოვისა, რომელმაც სნეულობის გამო თავი დაანება საზოგადო მოღვაწეობასა და სამსახურიდამ გამოვიდა. ნიკოლაძე, იოანისიანი, იზმაილოვი, მაზანელი იმ აზრისანი იყვნენ, რომ უფრო მართებული იქმნებოდა პაპოვისთანა მოღვაწე კაცი დავაჯილდოვოთ სამუდამო პენსიითაო. ხოლო ალიხანოვი და სხვები ამბობდნენ, რომ ერთბაშად მივცეთ რამ საჩუქარი და მით გავათავოთ საქმეო. ხმის უმეტესობით საბჭომ დაადგინა მიეცეს ჯილდოდ ნ. ა. პაპოვს ექვსასი თუმანიო. კრებაზე დასწრო ორმოც-და-ხუთამდე ხმოსანი. რაიცა შეეხება გარეშე მაყურებელთა, მათი რიცხვი იმდენი იყო, რომ საბჭოს ქანდარაში ადგილი აღარ მოიპოვებოდა.

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Каспій“-ს წარსულ შაბათის ნომერში დაბეჭდილია მეთაურად პატარა წერილი ერთ ფრიად საყურადღებო საგნის შესახებ, და ეწოდება „კავკასიის ეკონომიურად დაქვეითება“. წერილის დამწერი იმ აზრისაა, რომ კავკასია, ეს უმდიდრესი კუთხე ქვეყნიერობისა, ეს მარგალიტი რუსეთის სამეფო გვირგვინისა, ეკონომიურად უღონოა, განუვითარებელიაო. ამ ქვეყანამ არ გაგვიმართლა ის იმედები, რომელიც გვქონდა და რომლის მოლოდინიც უბრალო ოცნებად არ ჩაითვლებოდაო. დამწერი ამ უნუგეშო სიტყვებს ციფირებითაც ასაბუთებს. მისის სიტყვით,

> კავკასია მკვიდრთა რიცხვით რუსეთის საერთო მკვიდრთა $^{1}/_{12}$ შეადგენს და ამასობაში-კი რუსეთიდგან გატანილისა და შემოტანილისკვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ კავკასიის გატანილი და შემოტანილი საქონელი, გამოდის, რომ ამ ქვეყნიდგან გააქვთ $^{1}/_{18}$ რუსეთიდგან გატანილ საქონლისა, ხოლო შემოაქვთ $^{1}/_{88}$ რუსეთში შემოტანილ საქონლის რაოდენობისა. ამ ანგარიშში ნავთი არ არის ჩათვლილი, რადგანაც მსჯელობაში უმთავრესად მეურნეობა და მასთან მჭიდროდ შეკავშირებული წარმოებაა მიღებული.

გაზეთი ყოველ ნაწარმოების ცალკე ანგარიშს არ იძლევა, მხოლოდ საერთო საზოგადო ციფირები მოჰყავს და ამბობს, რომ

> ფულზედ რომ ვიანგარიშოთ ამ შეტანილ საქონლის რაოდენობა, გამოდის რომ გააქვთ კავკასიიდგან 243,459 მან. საქონელი (მაგალითად აქ აღებულია 1886 წ., მას შემდეგ ამ სამ წელიწადში ძნელად თუ მწარმოებლობას ძალიან აეწიოს), შემოტანით-კი 1,807,338 მანათისა შემოაქვთ. ამ შედარებიდგან სჩანს, რა განუვითარებელია კავკასიის მეურნეობა. თავისის მდებარეობითა და ნიადაგით ამ ქვეყანას შეძლება აქვს ევროპის მაზრებში დიდ-ძალი საქონელი გაიტანოს და გატანის მაგიერ-კი თითონ შემოაქვს, გაჭირა მუშტარად გადაქცეულა.

მოჰყავს რა ეს ციფირები, გაზეთი არას ამბობს, ესეც რუსეთის გატანილ და შემოტანილ ნაწარმოების კვალობაზედ არის ნაანგარიშევი, თუ სხვაფრივ საზოგადოდ. თუ ისეა, როგორც პირველში დავასახელეთ, ციფირებში რაღაც შეცდომაა შეპარული, რადგან პირველ მაგალითში გატანილი აღემატება შემოტანილს, ხოლო მეორეში — შემოტანილი გატანილს. მაინც-კი იმ ჭეშმარიტ აზრის დასასაბუთებლად, რომ მეურნეობა ჩვენში ცუდად არის დაყენებული, მიწას შემოსავალი ძალიან ცოტა მოაქვსო, გაზეთი ამბობს იმასაც, რომ დიდ-ძალი სახაზინო მამულები კავკასიაში ოხრად არის დარჩენილი და თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოაქვსო. ამბობს ამას და ნათქვამის დასამტკიცებლად გაზ. „Московскія Вѣдомости“-დგან საინტერესო ციფირები მოჰყავს. რუსეთის გაზეთი სწერს, რომ

> ამ მიმდინარე წლის განმავლობაში გამოირკვიეს, თუ რამდენია სახაზინო მიწა-მამული კავკასიაში და აღმოჩნდა: ტფილისის გუბერნიაში 1 766,000 დღიური, ქუთაისისაში—1.641,200 დღიური, განჯისაში—2 611,600 დღიური, ერევნისაში—1.326,200 დღიური, ბაქოსაში — 1.022,400 დღი., სტავროპოლისაში—279,000 დღი., ყუბანის ოლქში—3.409,000 დღი., თერგისაში—986,600 დღი. და შავის ზღვის ოლქში – 330,000 დღიური, სულ-კი 13.374,400 დღიური. ამ უშველებელს მამულებს სახაზინოსას ორთა-შუა რიცხვით აქამდე შემოსავალი მოაქვს 800,000 მანეთი წელიწადში, დღიურზედ-კი $7^{1}/_{2}$ კაპ. ცალ ცალკე გუბერნიაზედ რომ ვიანგარიშოთ შემოსავალი, ზოგიერთი გუბერნია უფრო ნაკლებს დაიჭერს. მაგალითებრ, ყუბანის ოლქის სახაზინო მამულებს წელიწადში დღიურზედ შემოაქვთ $2^{3}/_{4}$ კაპ.

არ ვიცით რამდენად მართალია და უტყუარი ეს „Моск. Вѣд.“-ში დაბეჭდილი ცნობანი, ხოლო ის-კი აშკარაა, რომ კავკასიაში მართლაც და მეურნეობა ძალიან დაცემულია და ამ ტკივილს უნდა ეშველოს რამე. გაზ. „Каспій“-ს სიტყვით, ამ სატკივარს არას უშველის პროფესიონალურ სასწავლებლების გამრავლება, ჯერ გლეხების მდგომარეობა უნდა განკარგდეს, სამიჯნო დავა მოისპოს, ნადელი გადიდდეს, იმათის სესხით ფულის შოვნა გახდეს შესაძლებლად და როცა ყველა ეს საქმე გარიგებული იქნება, მაშინ უნდა ეცადნენ ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, მაშინ უნდა დაარსდეს საპროფესიონალო სასწავლებლები.

◆◆

## რუსეთი

რუსეთის ჟურნალ-გაზეთები ამ ჟამად ბევრსა ლაპარაკობენ სამეურნეო სამინისტროს დაარსების შესახებ. ლაპარაკია ერთის მხრით იმაზედ, რა უნდა გააკეთოს სამინისტრომაო და მეორეს მხრით იმაზედ, სიკეთე რამ მოჰყვება ამ სამინისტროს დაარსებას, თუ არა და ძლიერ ძვირად ხომ არ დაგვიჯდება სამეურნეო სამინისტროს

---

ლით მინდაო, და ამიტომ იმ დღესვე შეუდგა სამუშაოს ძებნას.

ჯერ ნაცნობების მიერ გამოტანებული წერილები დაარიგა, შემდეგ თავის ქვეყნელებთან შეიარა და სთხოვა, რომ ვინიცობაა დამჭირდეს, თქვენს დახმარებას ნუ მომაკლებთო, მაგრამ ერთის თვეის განმავლობაში ყოველ გვარმა ცდამ და მეცადინეობამ ამაოდ ჩაუარა. ამასობაში ფული იხარჯებოდა და სულ ერთი თუმანი-ღა ჰქონდა. ამ ფულით კიდევ ერთი თვეე უნდა გაეტარებინა, ცალიერის მშრალის პურით ესაზრდოვნა, დილიდგან მოკიდებული საღამომდე ქვაფენილი ელესნა, ხელ-მოცარული დაბრუნებულიყო ხოლმე სახლში და მოღალულ-მოქანცულს დაეძინა. მაინც-კი სასოებას არა ჰკარგავდა, მხოლოდ ჩუმის, ყრუ დრტვინვით აუძგერდებოდა ხოლმე გული და ამბობდა, რომ ბედი სასტიკად, უსამართლოდ მეპყრობაო.

ერთს საღამოს ნანტა მშიერი დაბრუნდა სახლში. გუშინვე შეჭამა უკანასკნელი ლუკმა პურისა და ეხლა არც ფული ჰქონდა და არც მეგობრები ჰყავდა, რომ ერთი აბაზი მაინც ეშოვნა სესხად და ხელი მოენაცვლა.

მთელი დღე წვიმა მოდიოდა, ერთი იმ წვიმათაგანი, რომელიც მეტად ცივია და რამდენსამე დღეს გასტანს ხოლმე. მან ყურადღება არ მიაქცია ტალახით აზელილს ქუჩებსა და ბერსშიაც იყო, მონმარტრშიაც, სადაც ნოქრები უნდოდათ. ბერსში უკვე ეშოვნათ, მონმარტრში-კი უთხრეს, რომ წერა ისე კარგად და ლამაზად არა გცოდნია, როგორიც ჩვენ გვინდაო. ნანტას ეს უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდა.

ეხლა-კი ყველაფერზედ დათანხმდებოდა; მას მხოლოდ პური-ღა ეჭირვებოდა, რომ პარიჟში ეცხოვრა როგორმე; ნიადაგი უნდოდა ჰქონოდა, რომ ზედ თავისი მერმისი აეგო და აეშენებინა.

მონმარტრიდგან ლილის ქუჩამდე ნელა და გულ-გათანაღრებული მოაბიჯებდა. წვიმა ის იყო შესწყდა და ქვაფენილზედ ხალხი ზრუნვიანად მიდი-მოდიოდა. დაფიქრებული ნანტი რამდენისამე წუთით შესდგა ზარაფის დუქანთან, რომლის ფანჯარაშიაც ბაჯაღლოები ჰბრწყინავდა. ერთი ოქრო ჰკმაროდა, რომ მთელი ქვეყანა დაემორჩილებინა: ერთი ოქრო რვა დღეს მაინც ეყოფოდა, და რვა დღეში-კი რა არ გაკეთდებოდა, რა არ მოხერხდებოდა.

ამ ფიქრში იყო, რომ ეტლმა გაუარა და ტალახი შეაწინწკლა. ნანტამ გათხუპნული პირი მოიწმინდა, ბრაზით კბილებს აკრაჭუნებდა და საშინლად ამოსძახოდა გული, რომ დაერიე მაგ წალმა-უკუღმა მოსიარულე ხალხსა და ერთი თუ ორიო! რიშელიეს ქუჩაზედ კინაღამ ეტლს ქვეშ მოჰყვა. ყველა იმასა ჰკრავდა ხელს, ყველასათვის იმას უნდა დაეთმო გზა, ის გზა, რომელზედაც ძაღლებისაგან აძეებულ ნადირსავით უპატრონოდ დარბოდა. დასასრულ შევიდა თავის ოთახში, მძიმედ დაეშვა სკამზედ და მოქანცულმა სინჯვა დაუწყო ჯერ თავის ტალახში ამოგანგლულს ტანისამოსსა და მერე წაღებს, რომელსაც იატაკზედ წყალი უხვად დაეგუბებინა.

ეხლა-კი ყველაფერი გათავებულია. ნანტამ თავის მოკვლა გადასწყვიტა. სიამაყე ყელში ამოეჩარა და უნდოდა მაგიერი გადაეხადა პარიჟისათვის. ძალა ვიყო, ძლიერებასა ვგრძნობდე და ერთი ადამიანი ვერ ვიპოვნო, რომ ერთს ოქროს დავესესხოო! ასეთი მდგომარეობა სწორედ ბრაზითავსებდა მთელს ამის არსებას.

მან ნაღვლიანადა და მწუხარედ დაჰხედა თავის უშემწეო, უღონო ხელებს. არავითარი ხამუშაო არ აშინებდა; ჰგრძნობდა, რომ ნეკით მთელს ქვეყანას შეეძრავო, და ამასობაში-კი აქ იყო, ამ კუთხეში ეგდო, უშემწეოდ, უღონოდ, ისე, როგორც ყაფაზაში ჩამწყვდეული ლომი. ჯერ ისევ ყმაწვილი იყო, რომ უამბეს ერთის გამოჩენილის კაცის ამბავი. ამ კაცს საოცარი მანქანა მოეგონებინა და თანაგრძნობა რომ ვერსად მოეპოვებინა, თითონვე დაესხვრია უმადურ ხალხის წინაშე ეს თავისი ნამოქმედარი. კარგად მოქცეულა! ესეც ის კაცია, ესეც აფასებს თავისს უშეღლებულს ძალასა და უნარს, იშვიათს ჭკუას, და აი ეხლა ამ განძს სულ ერთიანად დაამსხვრევს, ქუჩის ქვაფენილზედ გადაეშვება და თავს ქვას მიაჭეჭყავს.

მზე ის იყო დანვილიეს სასახლეს ეფარებოდა და თავისის სხივებით ოქროს ფერსა სდებდა ხეხილის ფურცლებს. ნანტამ ფეხზედ წამოიწია, თითქოს დამავალს მზეს უნდა გამოემშვიდობოსო. გადაიხარა ფანჯარაზედ და ძირს დაიწყო ცქერა. ბაღის ხეივნის მისახვევში ბატონიშვილურის სიამაყით დასეირნობდა ქერა-თმიანი და ტან-წერწეტა ყმაწვილი ქალი.

ნანტას ჰაერში კოშკების აშენება არ უყვარდა, იმან უკვე განვლო ის ხანი, როცა ყმაწვილი კაცები ოცნებობენ, რომ აგერ რომელისამე პრინცის ქალი შემოვა და მე დამილოცავს თავისს სიყვარულსაცა და თავისს უშეღლებელს სიმდიდრესაცაო, მაგრამ ამ წუთში-კი სწორედ სტკბებოდა ამ თეთრ-ყირმიზის ქალის სიმშვენიერითა და ამაყის სიარულით. უეცრად მუშტები შეიკრა, ამ მშვენიერს მორთულს სასახლეში მცხოვრებთა მიმართ სიძულილი იგრძნო და ბრაზიანად ჩაილაპარაკა:

— ერთ ოქროდ გავიყიდდი თავსაო!

ამ ფიქრმა მცირე ხანს გაართო. იგი მზად იყო მიეყიდნა თავისი თავი, თავისი ძალა და ღონე რომელისამე გავლენიან კაცისა, ან ბანკის პატრონისათვის უბრალოსა და ბრალიაზედ მოსახმარებლად. ამ წუთას არაფრის წინ არ დაიხევდა უკან, პატიოსნება უქმ სიტყვად მიაჩნდა და ყოველ გვარის საშუალების ხმარება ხელ-საყრელად ეგონა, ოღონდ-კი მერმისში გამარჯვება იმას დარჩენოდა. პატარა ხანს შემდეგ უნდობლობის ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზედ. მერე მყიდველი-კი გამოუჩნდება ვინმე? ყოველს წუთს მთელი ბრბო უმაქნის ხალხისა მოელის პარიჟში ასეთს ვაჭარს, მაგრამ მაინც ვერა ჰღირსებია. სულ ერთია, ამ ნატვრასაც ნიადაგი არა ჰქონდა.

იგი კვლავ დაჯდა და გადასწყვიტა, რომ ფანჯრიდგან ძირს გადავეშვები, როცა მზე ჩავაო.

ამასობაში ისე იყო დაღალული, რომ ცოტ-ცოტა სკამზედვე ჩასთვლიმა. უეცრად რაღაც ლაპარაკის ხმამ თვალები გამოაჭყეტინა: კარებს იქით სახლის მოურავის ცოლი ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა.

— მე ვარ, მოწყალეო ხელმწიფეო, სთქვა მან და კარები შეაღო... რაკი ჰნახა, ბნელაო, გავიდა და მერე ისევე დაბრუნდა ანთებულის სანთლითა და ოთახშივე შეიყვანა მეორე ქალიც, რომელსაც დიდის მოწიწებითა და პატივისცემით ეკიდებოდა.

— აი, აქ თავისუფლად შეგიძლიანთ მოელაპარაკოთ, ხელს არავინ შეგიშლით, სთქვა მოურავის ცოლმა.

გამოფხიზლებული ნანტა გაოცებით შესცქეროდა უცნობს ქალს.

ქალმა რიდე გადიხსნა. ეს უცნობი ორმოც-და-ხუთის წლის დედაკაცი

შენახვათ. ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთში, სადაც გლეხ-კაცისა და მთელის სახელმწიფოს უპირველესი სახსარი ცხოვრებისა მიწის მოვლა-მუშაობაა, სამეურნეო სამინისტროს ძლიერ ბევრი საქმე აქვს და გამოუჩნდება, თუკი თავს შეიდებს და გაკეთებას მოინდომებს. ეს საგანი ისე თვალსაჩინოა, რომ ამაზე ბაასის გაბმა სრულიად საჭირო არ არის. კამათობა და ბაასი ისევ იმის შესახებ თუ შეიძლება, მართლა ძვირად ხომ არ დაჯდება სამეურნეო სამინისტროს შენახვა და ცუდი შედეგი და მხარე ხომ არა მოჰყვება-რა იმის დაარსებას. ამის შესახებ ლაპარაკი მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ბევრნი ამბობენ, სამეურნეო სამინისტროს დაარსება ბიუროკრატიის გამრავლება იქნება და სახელმწიფოსთვის 10 მილიონი მან. ხარჯის მომატება და სხვა არაფერიო. ამ აზრის უსაფუძვლობის დასამტკიცებლად საკმარისად მიგვაჩნია მკითხველს მხოლოდ ამერიკელების მაგალითზე მივუთითოთ. სწორედ ამ წლის დამდეგს ამერიკელებმა დააარსეს სამეურნეო სამინისტრო და ისე რიგიანად მოაწყეს, რომ ამ ახალს დაწესებულებაზე ხარჯი ძლიერ მცირე მისდით და საქმეს-კი ბევრს აკეთებინებენ. მართალია დიდ-ძალი ფული ეხარჯებათ სამეურნეო სკოლების შენახვაზე, მიწის მოვლის სამაგალითო სადგურებსა და სხვაზე, მაგრამ ეს სამინისტროს ხარჯად არ ჩაითვლება, რადგან ბიუროკრატიას-კი არ ეძლევა ეს ფული, არამედ თვით კეთილსა და სასარგებლო საქმეს ჰხმარდება. ამ სამინისტროს ბიუროკრატიას მხოლოდ ორი კაცი შეადგენს—მინისტრი და იმისი ამხანაგი, რომელნიც მთელს სამინისტროს აწარმოებენ და განაგებენ. სხვა წევრი ამ სამინისტროსი ცალიერ ქაღალდების წერას არავინ არ მისჩერებია, ყველას თავისი საქმე აქვს: ზოგი საქონლის მოვლა-მოშენებას ადევნებს თვალ-ყურს, ზოგი თესლეულობის აღ-კარგიანობას, ზოგი ხეხილსა და სხვა... რაც უნდა დასჭირდეს ამერიკელს მეურნეს, რაც უნდა მოუნდეს და გაუჭირდეს, ყოველს შემთხვევაში დამრიგებელი და ხელშემწყობი გვერდით ჰყავს. გაჩნდება სენი რისამე, ან საქონლისა, ან ხეხილისა, ან სხვისა რისამე და დაძახება აღარ უნდა მკურნალს, ის თავის თავად და დროზედ მივა და საქმეს შეუდგება. აი ჯერ წელიწადი არ არის, რაც ეს სამინისტრო არსებობს ამერიკაში და უკვე ნათლად დაუმტკიცა და უჩვენა ამერიკელებს, რა სიკეთის მოტანაც შეუძლიან. სულ ორის თვეის დაარსებული არ იყო, რომ მაშინვე უტყუარი სასტატისტიკო ცნობები გამოაცხადა საჯაროდ, რამდენი პური და სიმინდი მოსულა მთელს სახელმწიფოში (შეერთებულს შტატებში) და ან რამდენი დახარჯულა... ამით ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ რუსეთშიაც სწორედ ასეთნაირადვე და ასეთისავე სამინისტროს დაარსება შეიძლებოდეს. რუსეთი სულ სხვანაირად არის მოწყობილი პოლიტიკურის მხრითაცა და სხვაფრივაც და ამიტომ სამეურნეო სამინისტროს აქ ცოტაოდენი სხვა ფერი და ხასიათი უნდა ჰქონდეს, მაგრამ რუსეთშიაც-კი შეიძლება მოხერხდეს ისეთი სამეურნეო სამინისტრო, რომ ბიუროკრატიას საიმისო დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდეს-რა და სულს არ უხუთავდეს საქმის წარმოებას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის ამბავიც, რომ ამ უკანასკნელს დროს ხმა გავარდა, მთავრობას სამეურნეო სამინისტროს დაარსება-კი არ უნდა, სამეურნეო საბჭო უნდა დააარსოსო. თუ ეს საბჭო ისეთივე საბჭო იქნება, როგორიც საბჭოებიც აწ უკვე მრავალი არსებობს, მაშინ სწორედ სამწუხარო ამბად უნდა ჩაითვალოს ეს ამბავი. მართლაც და რასა ჰქვიან ჩვენში საბჭოები! აი რასა. დანიშნავენ რამდენსამე კაცს, რომელსაც უამისოდაც თავისი საქმე ბევრი აქვს, და მიანდობენ, ესა და ეს საქმე გამოიკვლიეთ და გამოიანგარიშეთო. ისინიც მიდიან, იკრიბებიან დანიშნულს დროსა და ალაგას, ჩამოაგდებენ ლაპარაკს სრულიად უცნობს საგანზე და ბოლოს რის ვაი-ვაგლახით ერთი რომელიმე წევრი შეიტანს თავის მოხსენებასა და დაამტკიცებს კიდეც. ამით თავდება საგნის გამოკვლევა და განხილვა. კანცელარია, კრება და გადაწყვეტა. აი თავი და ბოლო ამ ნაირის საბჭოებისა. თუ ასეთის საბჭოს დაარსება ჰსურს მთავრობას, მაშინ სწორედ ისა სჯობია, რომ ისევ ეხლანდელი სამეურნეო დეპარტამენტი დარჩეს. იმით მაინც გაიმართლებს კაცი თავს, რომ თუ საქმე არა კეთდება-რა, დაწესებულება გვაკლიაო.

◆◆

## უცხოეთი

ინგლისი. საარჩევანო ბრძოლა გლადსტონელებისა და სალისბერის მომხრეთა შორის თან და თან ცხარდება. დიდებული მოხუცი შოტლანდიაში დამოგზაურობს. მისი მარჯვენა ხელი მორლეი ხშირად ამბობს სიტყვებს ინგლისის სხვა-და-სხვა მხარეში. ბალფურსაც არა სძინავს და ირლანდიაში ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს გლადსტონელებს, თუმცაკი ბევრს ვერას ახერხებს. ეკლესიის არჩევანებზე გლადსტონელებმა დიდად გაიმარჯვეს. ირლანდიიდამ ამერიკაში წასულთ დიდის ამბით ეგებებიან ამერიკელები. საქალაქო არჩევანებზედაც, ეტყობა, თანაგრძნობა გლადსტონელებისაკენ არის. ჰფიქრობენ, სთხოვონ დედოფალს, ახალი არჩევანები დანიშნოს ეხლავე, ვიდრე კანონიერი ვადა გაუვა ეხლანდელს პარლამენტს. მაგრამ სალისბერის მომხრეებს გადაწყვეტილი აქვთ, არას გზით პარლამენტი არ დაითხოვონ, იმ დრომდე, ვიდრე თავის ვადას არ შეასრულებს.

— ინგლისში გარდაიცვალა ჩარლზ ედუარდ მიუდი 72 წლისა. მიუდი შესანიშნავი იყო მით, რომ წიგნთ-საკითხავი გამართა და დიდი მუშტარიც შეიძინა. რა წიგნსაც ძლიერ თხოულობდნენ, იმ წიგნს შეიძენდა ბლომად და ყველას აკითხებდა ერთსა და იმავე დროს მცირე ფასად. მერე თან-და-თან ქალაქს გარედაც უგზავნიდა წიგნებს თავის მუშტარს. ჰგზავნიდა თავის კაცებს და ატანდა თან წიგნებს. ეს კაცები დაუვლიდნენ ყველა მუშტარს, გამოართმევდნენ წაკითხულს წიგნებსა და დაუტოვებდნენ ახალთ-ახლებს. ამ ნაირად მიუდიმ დაჰბადა და გააჩინა მოძრავი წიგნთ-საკითხავი (circulating library). ეხლანდელი მინისტრი სალისბერის კაბინეტში სმიტი სწორედ ამ გვარის წიგნთ-საკითხავებით გამდიდრდა, მიაღწია მინისტრობასა და ხელმძღვანელია კამათობისა საზოგადოებათა პალატაში. სმიტს აქვს წიგნთ-საკითხავის კანტორები ინგლისის ყველა რკინის გზებზე და ნავთსადგურებზე.

— მიუდიზე წინად გარდაიცვალა კიდევ ტრიესტში ერთი უცნაური ინგლისელი რიჩარდ ბერტონი 70 წლისა. უცნაური იყო ეს კაცი თავის ხასიათებით. რიჩარდ ბერტონი ისეთის ინგლისელების დასს ეკუთვნოდა, რომელთათვისაც მთელის დედამიწის ზურგი საკმაო არ არის, რომ დატიოს და მოასვენოს მუდამ მოუსვენარი და საქმიანობისთვის თავ-გადადებული კაცი. სად არ იყო ბერტონი, სად არ იწანწალა, რა ქვეყანა არ ნახა, რა ენა და რა ხალხის ზნე-ჩვეულება არ ისწავლა. ერთხელ შეიხის ტანისამოსით და აბდულას სახელით სალოცავად მექასა და მედინაშიც-კი იყო. ყოველ გვარს მეცნიერებას მისდევდა, ყველაფერს სწავლობდა. უფრო-კი ეტანებოდა აღმოსავლეთ ქვეყნების გაცნობასა და დიდი ცოდნაცა ჰქონდა ამ ქვეყნების შესახებ, მაგრამ, რადგან მეტად პირდაპირი იყო, ენადაუჭერელი, ავტორიტეტების დიდი წინააღმდეგი, ინგლისმა ვერ შეიფერა ეს კაცი და მთავრობაც მხოლოდ მცირე ადგილებს აძლევდა კონსულისას აღმოსავლეთ-ქვეყნებში. უნივერსიტეტებიდამ გამოგდებული იყო. ჯარში შევიდა და იქიდამაც უპენსიოდ გამოაგდეს. ყველა ამხანაგთანა და მეგობართან ნაჩხუბრად იყო, თავი მოჰქონდა, რომ არხეოლოგიაში ერეტიკულს აზრს ვადგიავარო. 1854 წელს, როცა ყირიმის ომის დროს, ყარს ალყა შემოარტყა რუსეთის ჯარმა, ბერტონმა შეადგინა დასი ბაშიბუზუკებისა და უნდოდა ყარსი გაენთავისუფლებინა და კავკასიის მკვიდრნი აეჯანყებინა რუსეთის წინააღმდეგ. ბერტონმა დასტოვა 50 დიდი ტომი თავის ნაწერებისა. 16 ტომი მოანდომა მარტო თარგმნას არაბულის ზღაპრისას „ათას-ერთი ღამე“.

საფრანგეთი. ამას წინად ემილ ოჟიეს მაგიერად უნდა აერჩიათ ვინმე მეორმოცე უკვდავად საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში. კანდიდატები ბევრნი იყვნენ, მაგრამ ამრჩევთა ხმები ისე გაიყო, რომ არც ერთს არ ხვდა წილად ბედნიერება უკვდავთა შორის ალაგის დაჭერისა. წელს კანდიდატად გამოსულა ფრეისინე, მთავარ-მინისტრი ეხლანდელის კაბინეტისა. ფრეისინეს ამ კაბინეტში აბარია პორტფელი სამხედრო მინისტრისა და ამ 20 წლის განმავლობაში მხოლოდ საპოლიტიკო მოღვაწეობას მიეცა. მაგრამ წინად ბევრი სამეცნიერო თხზულებანი დაუწერია ფრეისინეს, რადგან თავის დროზედ კარგი განათლება მიუღია. ამბობენ, რომ რაკი ფრეისინე გამოვიდა კანდიდატად, აკადემია უთუოდ იმას აირჩევსო. ანრი გუსესა და ანდრე ტერიეს,

---

ჰგავდა, სქელი იყო და დიდი სიცბიერე და ფარისევლობა ემჩნეოდა. ნანტას არასოდეს არ ენახა. როცა ყმაწვილმა კაცმა თავისი ერთად-ერთი სკამი შესთავაზა, ქალმა ხმა ამოიღო:

— შუენის ქალიშვილი გახლავართ, მოწყალეო ხელმწიფევ... და იმიტომ მოვედი, რომ ერთ ფრიად საჭირო საქმის შესახებ მოგელაპარაკოთ.

ნანტა საწოლის ბოლოზედ ჩამოჯდა. სახელი შუენი არაფერს უხსნიდა და ამიტომ თვალ-დაშტერებით შესცქეროდა უცნობს, ენახოთ რას იტყვის, რისთვის გარჯილაო. შუენი-კი არა სჩქარობდა, არხეინად აათვალიერ-ჩაათვალიერა მუშტრის თვალით ოთახის მოწყობილობა და შემდეგ ტკბილის ხმითა და ნაზის ღიმილით სთქვა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მოვედი თქვენთან და მეგობრულად უნდა მოგელაპარაკოთ. გთხოვთ ცუდი განზრახვა არა დამწამოთ-რა, მე მხოლოდ თქვენი სიკეთე მინდა, სხვა არაფერი. კარგად ვიცი, რა გაჭირებული ცხოვრება გაქვთ, ვიცი, რა მამაცად ებრძოდით ამ გაჭირებასა და მაინც ვერა გააწყვეთ-რა, ვერა მოაგვარეთ-რა... კვლავ შენდობასა გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ თქვენს შინაურს საქმეში ვერევი! მერწმუნეთ, რომ სიკეთე მაიძულებს და...

ნანტა ლაპარაკს არ აწყვეტინებდა და გულ-დასმით ისმენდა თავისსავე ამბავს, რომელიც შუენს სახლის მოურავის ცოლისაგან შეეტყო. შუენის ქალიშვილმა კვლავ განაგრძო და სცდილობდა ლაპარაკის დროს უფრო ზრდილობიანი სიტყვები ეხმარა:

— ყმაწვილო კაცო, თქვენ დიდებული მერმისი მოგელით! მე გამაოცა თქვენმა სიმტკიცემ ხასიათისამ და ამიტომ ვბედავ მცირეოდენი შემწეობა აღმოგიჩინოთ. ვიმეორებ, ბრწყინვალე მერმისი მოგელით, თუ საშველად და დახმარებლად ხელი გამოგიწოდათ ვინმე!

შუენი შეჩერდა. პასუხს ელოდდა. ნანტას ეგონა, ადგილი, სამუშაო რამ უნდა მომცესო, და ამიტომ საჩქაროდ განაცხადა, რომ ყოველ გვარს პირობაზედ თანახმა ვარო. რაკი ეს გაიგონა, უცნობმა უცბად იკითხა:

— ცოლის შერთვისას რას იტყვით?

— მე შევირთო ცოლი? წამოიძახა ნანტამ: რასა ბრძანებთ! ვინ მისთხოვდება იმ კაცს, რომელსაც თავისი თავიც ვერ შეუნახავს და ვერ გამოუკვებნია?

— ვინა-და, ერთი შეძლებული და ლამაზი რიგიანის ოჯახის ქალი. ეს ქალი ყოველსავე საშუალებას მოგცემთ, რომ თქვენი სურვილი განიხორციელოთ და დიდი ადგილი დაიჭიროთ.

— სამაგიეროს რასა მთხოვს, რა პირობით მირთავს? ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

— დღე-დღეზედ დასაწოლია და ყმაწვილი თქვენ უნდა იშვილოთ, უპასუხა შუენმა, თითქოს დაავიწყდა ის ზრდილობიანი სიტყვებიო, რომელსაც წინად ჰხმარობდა ლაპარაკის დროს.

პირველს წუთს ნანტას გული უთქვამდა, რომ კინწის კვრით გაუძახე გარეთ ეგ დაუპატიჟებელი სტუმარიო.

— სისაძაგლე გინდათ ჩამადენინოთო! ჩაილაპარაკა მან.

— სისაძაგლეო? განიმეორა შუენმა ტკბილისა და ცბიერის ხმით: არა, მაგას ნუ იფიქრებთ, ნუ დაივიწყებთ, რომ ამ საქციელით პატიოსანს ოჯახს სირცხვილს ააცილებთ. მამამ არა იცის-რა და მანამ ადრეა, მინდა ეხლავე დავაბინაოთ ეს მოტყუებული ყმაწვილი ქალი. უბედურება ის არის, რომ მისი შემაცთუნებელი ჯვარ-დაწერილი, ცოლიანი კაცია. დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ, უზნეო და გარყვნილებით სავსე ხალხიც მრავალია ამ ქვეყნად.

უცნობი კიდევ ბევრს იტყოდა ამ საგნის შესახებ, მაგრამ ნანტა ყურს აღარ უგდებდა. უარი რად უნდა ეთქვა? ამას წინად თითონვე არ ეძებდა შემთხვევას თავის გაყიდვისას? ეძებდა და აგერ, მუშტარიც მოუვიდა. მოურიგდეს და, სახელის მაგიერ, შეძლებას მისცემენ. ნანტამ დაჰხედა თავისს ტალახით აჭრელებულს შალვარს, გაახსენდა, რომ გუშინდელს აქეთია არა მიჭამია-რაო, და ყველა ის დამცირება, რაც-კი ერთის თვეის განმავლობაში გამოევლო, ფიქრმა გაუთვალისწინა. ოჰ, ეხლა-კი მიეცა საშუალება და შეუძლიან მთელი ის ქვეყანა თავის ფეხთა წინაშე დასცეს, რომელიც აქამდე ხელსა ჰკრავდა და თავს აკლევინებდა.

— თანახმა ვარო, სთქვა მან უცბად.

შემდეგ საქმის დაწვრილებით შეტყობა მოიწადინა. ჯერ ის იკითხა, რასა მთხოვ ამ საქმის მოგვარებასა და გარიგებაშიო. პირველში ქალმა უარი სთქვა, ბოლოს-კი განაცხადა, რომ სამზითვო ფულიდგან ათასი თუმანი მე მომეციო. რადგან ნანტამ ვაჭრობა არ დაუწყო, შუენი კვლავ ლაქლაქს მოჰყვა:

— მაშინვე თქვენ მომიხვედით ფიქრად. როცა თქვენი სახელი ვუთხარი, ყმაწვილი ქალი უარს არ იყო... ოო, კარგი საქმეა, გარწმუნებთ, და ბოლოს მადლობელიც დამრჩებით! განა სხვას ვერავის ვიშოვიდი, შეძლებულს, სახელიანს... ერთსაც-კი ვიცნობ ასეთას, ხელებს დამიკოცნიდა, ეს საქმე რომ იმისთვის მომეხერხებინა. მაგრამ არა ვქენი, თქვენ გამჯობინეთ, ღარიბი, უშემწეო, ეს უფრო კარგია, რომანიულს ხასიათს დასდებს ცოლქმრობას... ამას გარდა მომწონხართ კიდეც: ახალგაზდა ხართ, ჰკვიანი, და, დარწმუნებული ვარ, გზას გაიკვლევთ, ალოს გაიტანთ! ნუ დამივიწყებთ, ყოველთვის თქვენი ყურ-მოჭრილი მონა და მოსამსახურე გახლავართ.

აქამდე ჯერ არც ერთი სახელი არ წარმოთქმულიყო. მცირეოდენ ლაპარაკს შემდეგ გაუთხოვარი მოხუცი ფეხზედ წამოდგა და კვლავ განიმეორა:

— შუენის ქალიშვილი გახლავართ... გადიადა ვცხოვრობ ბარონ დანვილიესთან მას შემდეგ, რაც ბარონესამ თქვენი ჭირი წაიღო. ჩემი გაზრდილია ფლავია, ბარონის ქალიშვილი, თქვენი საცოლე.

როცა გაათავა, სტოლზედ ქაღალდში გახვეული ოც-და-ხუთი თუმანი დასდო და გავიდა. ეს ფულები იყო და ამითი უნდა შესდგომოდა ქორწილის სამზადისს ყმაწვილი კაცი. მარტო დარჩენილი ნანტა ფეხზედ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

ძალიან ბნელი ღამე იყო, ისეთი მწყვდიადი, რომ ხეხილები ძლივს-ღა მოსჩანდა. სასახლის წინ ფანჯარიდგან სინათლე გამოდიოდა. მაშ ეს ქალბატონი ის თეთრ-ყირმიზი ქალია, რომელიც დედოფლისებურად ამაყად დასეირნობდა ბაღში! მაგრამ ეჰ, ის არის, თუ სხვა, განა იმისთვის სულ ერთი არ იყო.

ნანტამ გაჰხედა შორს, წყვდიადში მშფოთარე ქალაქს, რიყეს, ქუჩებს, მდინარის მარცხენა მხარეს, რომელიც მთრთოლვარე გაზით იყო განათებული, მთელს პარიჟს თვალი მიავლ-მიაველო და შესძახა:

— ეხლა-კი ჩემი ხარო!

ზოლა.

(შემდეგი იქნება)

რაკი ეს შეუტყვიათ, უკვე ხელი აუღიათ კანდიდატობაზე. ფრეისინეს გარდა კიდევ შემდეგი კანდიდატები არიან: ბრიუნეტიერ, ტიურო-დანჟენ, ემილ ზოლა, ანრი ბეკ, ნორუა, ფაბრ, პიერ ლოტი, რენიო, ეჟენ მანუელ და ერნესტ ლავის. არჩევანი დანიშნულია 29 ნოემბერს.

## წვრილი ამბები

გერმანიის იმპერატორმა უბრძანა შინაგან საქმეთა მინისტრს, ნახევარ მილიონი მარკა ფული აჩუქე ხაზინიდგან მკურნალს კოხს, რადგან იმას დიდი ამაგი მიუძღვის მთელის კაცობრიობის წინაშეო.

— მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტებმა არეულობა მოახდინეს. ამ არეულობის მიზეზი სწორედ—რომ სასაცილოა. დაარსდა თუ არა ეს უნივერსიტეტი, იმ თავითვე ზემო კურსების სტუდენტებს ნება ჰქონდათ ცილინდრებით სიარულისა, ხოლო დაბალ კურსების სტუდენტებს-კი არა. „უმცროსმა" სტუდენტებმაც ბევრჯელ ითხოვეს, ჩვენც მოგვეცით ცილინდრების დახურვის ნებაო, მაგრამ უოველთვის უარს ეუბნებოდნენ. როცა წელს სწავლა დაიწყო უნივერსიტეტში, მდივანმა გამოუცხადა სტუდენტებს, თუ უწესოებას რასმე მოახდენთ, სასტიკად დაისჯებითო. ორმა „უმცროსმა" სტუდენტმა, რაკი ეს იცოდნენ, ეგონათ, უფროსი სტუდენტები ვერაფერს გაგვიბედავენო და ცილინდრები დაიხურეს და ისე წავიდნენ სასწავლოდ. დაინახეს «უფროსებმა», მივარდნენ, მოჰხადეს ცილინდრები და სულ ლუკმა-ლუკმა გაუჭრეს. ერთმა „უმცროსმა" სტუდენტმა ხელი გამოიღო, ხელში ხორკლიანი ჯოხი ეჭირა და იმითი თავ-პირი აუნთო „უფროსებს". „უფროსებს" უფროსები მოეშველნენ, „უმცროსებს" უმცროსები და შეიქმნა ლეწა და თავ-პირის მტვრევა. ვიდრე პოლიცია არ ჩაერია საქმეში, ვერა და ვერ დაწყნარდნენ მოჩხუბარი სტუდენტები.

— ჩრდილო-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი ვალი თითქმის სულ გადასწყვიტა და ხაზინაშიაც კიდევ 1,362,632 მანათი აქვს ნაღდი.

— ამ დღეებში 18 ინგლისელმა ქალმა დაიჭირა ეგზამენი დუბლინის უნივერსიტეტში. 9-მ ბაკალავრობის მოწმობა მიიღო, ქალმა გრეიმ უფლებათა დოქტორობის დიპლომი და ჯონიტის-კი „magister artium"-ის ღირსება მიაკუთვნეს.

— პარიჟის მეცნიერებათა აკადემიის უკანასკნელს სხდომაზე წევრმა დობრემ ლექცია წაიკითხე იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა უწინდელს დროში აეროლიტსა და ან ხალხი როგორ უყურებდა. ძველს ხალხს სწამდაო, სთქვა დობრემ, რომ ვარსკვლავებზე უზენაესი არსებანი სცხოვრებენო და ამიტომ აეროლიტს პატივსა სცემდნენ, როგორც ვარსკვლავების ნატეხსაო. ამ საგნის შესახებ დობრეს მრავალი ცნობა შეუკრებია და დაამტკიცა, რომ ძველს დროს მართლა წმიდა საგნად თურმე სთვლიდნენ აეროლიტს. კუნძულს კიპრზე, ვენერას ტაძარში, ერთი მაქრის თავის მინაგვარი აეროლიტი იყო შენახული და ხალხი მიდიოდა და თაყვანსა სცემდა, როგორც ღვთის მოვლენილს წმიდა საგანს. მენდლებსა და ფულებზედაც-კი სჭრიდნენ ამ აეროლიტის სურათს რომის იმპერატორების ავგუსტოსა, კარაკალლისა, დომიციანისა, გალბისა, სევერისა, ტიტესი, ტრაიანისა და ვესპასიანის დროს. ერთი ამნაირივე აეროლიტი სირიაშიც იყო და ისიც ტაძარში ინახებოდა, რომლის ქურუმად ერთს დროს ავიტა-ბასსიანი იყო, შემდეგში რომის იმპერატორი გელიოგაბალლის სახელით. გელიოგაბალლი აეროლიტს ერქვა და იმპერატორმაც ამიტომ დაირქვა ეს სახელი. როცა იმპერატორად გახდა, აეროლიტიც სირიიდგან რომში გადაიტანა.

## დეპეშა

6 ნოემბერი

ბუქარესტი. სათემო არჩევანებზე რუმინიაში ლიბერალები ყველგან დამარცხდნენ. დამარცხება დიდი იყო.

ცარიცინი. დაწმენდილი ნავთი ფუთი 73 კაპ. გაიყიდა. ამ ფულში ითვლება აქციზის ფულიც.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ნოემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 58 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $131^1/_2$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — | 234 |
| —მეორისა . . . . . | 213 | — „ | — |
| —მესამისა . . . . . | — „ | — „ | $213^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

## განცხადებანი


ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

(ლორის-მელიქოვის ქუჩა.)

ისყიდება როინაშვილის მიერ გადაღებული ფოტოგრაფიული სურათები თ. ილია ჭავჭავაძისა, თ. აკაკი წერეთლისა, ნიკოლოოზ ნიკოლაძისა, ალექსანდრე ყაზბეგისა, რაფიელ ერისთავისა, გრიგოლ ორბელიანისა, ვაჟა-ფშაველისა და დიმიტრი ბაქრაძისა. იქავე ისყიდება ი. დავითაშვილის ნაწერები მშვენიერს ყდით, 1891 წ. კედლის ქართული კალენდარი, ბაჩანას პოემა, სამი ისტორიული ხრონიკა ექვთიმე თაყაიშვილისა, ბატონყმობა საქართველოში ა. ხახანაშვილისა, სიბრძნე სოლომონისა, შვილის აღზრდა ხუსკივაძისა, სურამის ციხე და სხვა. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რუსული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის საზოგადოების"

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшiе предѣлы разселенiя грузинъ по малой Азiи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძველის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ჟორდანიასი . | „ | 55 |

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას" წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი", ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი"

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვეით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцiю газеты „ИВЕРIЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმაელობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Доз. цен. Тифлисъ, 6-го Ноября 1890 г. Типо-Литографiя Б. I. Месхiева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхiевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე